COPPER METALLURGY IN ANCIENT KOLKHIS AND WRITTEN SOURCES

სპილენძის მეტალურგია ძველ კოლხეთში და წერილობითი წყაროები

Nino Sulava
Doctor of Historical Sciences
Georgian National Museum
Institute of Archeology Ot. Lordkipanidze
Head of the scientific direction of archeology and history
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0009-0009-2684-2111
(+995) 599 149996;_nino_sulava@yahoo.com

Goneli Arakhamia
Doctor of Historical Sciences
Georgian National Academy of Sciences
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0003-4892-714X
(+995)595094392; goneli.araxamia@gmail.com

Nana Rezesidze
Doctor of Archaeology Researcher
Georgian National Museum
Dmanisi Museum-Reserve
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0009-0003-2690-4067
(+995) 598 178793; rezesidzenana@gmail.com

Abstract

The archaeometallurgical sites that were discovered in the 60s – 70s of the 20th century on the ancient area of Colchis were believed to be associated with iron metallurgy. As a respectively researchers sought out sources, literary references, and myths to gather information about iron.

However, modern research in the 21st century brought about a complete change in this interpretation. The scientific re-examination of previously studied sites revealed new data indicating that copper was smelted at the majority of them.

The archaeological findings are corroborated by data that is also preserved in written sources. It is known that ancient Eastern, Antiquities, Byzantine, Armenian documentary, narrative, and literary records provide information about the development of metallurgy in the historical territory of Georgia, particularly ancient Colchis. This includes mining and processing of copper/bronze, iron, brass, gold, and silver. For now, our focus will be solely on the references found in ancient Eastern and Antiquities sources that discuss copper production in ancient Colchis.

Keywords: Ancient Colchis, Metallurgy, Copper production, Written sources.

ნინო სულავა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის
არქეოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო
მიმართულების ხელმძღვანელი
საქართველო, თბილისი
ORCID ID: ORCID ID: 0009-0009-2684-2111
(+995) 599 149996; nino_sulava@yahoo.com

გონელი არახამია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი,
საქართველო, თბილისი
ORCID ID: 0000-0003-4892-714X
(+995) 595094392; goneli.araxamia@gmail.com

ნანა რეზესიძე
არქეოლოგიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი
მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0009-0003-2690-4067
(+995) 598 178793; rezesidzenana@gmail.com

აბსტრაქტი

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთში არქეომეტალურგიის ძეგლები - ქურა-სახელოსნოები, რომლებიც მთელი კოლხეთის არეალზე იყო აღმოჩენილი XX საუკუნის 60-70-იან წლებში, სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო რკინის მეტალურგიის ძეგლებად. შესაბამისად, წყაროებში, ლიტერატურულ ცნობებსა და მითებში მოძიებული იყო რკინასთან დაკავშირებული ცნობები.

XXI საუკუნის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდა თანამედროვე საბუნებისმეტყველო კვლევებზე დაყრდნობით წინა საუკუნეში გამოვლენილი და შესწავლილი არქეომეტალურგიის ძეგლების მონაცემების გადამოწმება, რის შედეგადაც რკინის მეტალურგიის ძეგლებად მიჩნეული ქურა-სახელოსნოების დიდი უმრავლესობა სპილენძის მეტალურგიას მიეკუთვნა.

არქეოლოგიურ მონაპოვარს ეხმიანება წერილობით წყაროებში დაცული მონაცემებიც. ცნობილია, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორაზე, კერძოდ, ძველ კოლხეთში მეტალურგიის განვითარების, სახელდობრ, ბრინჯაოს, რკინის, თითბრის, ოქროს, ვერცხლის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველაღმოსავლური, ანტიკური, ბიზანტიური, ძველსომხური დოკუმენტური, ნარატული თუ

ლიტერატურული ძეგლები. ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ ძველ-აღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში დაცულ ცნობებს საკუთრივ სპილენძის წარმოების შესახებ ძველ კოლხეთში.

საკვანძო სიტყვები: ძველი კოლხეთი, მეტალურგია, სპილენძის წარმოება, წერილობითი წყაროები.

შესავალი

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთში სპილენძის არტეფაქტების დიდი რაოდენობა იყო აღმოჩენილი - სპილენძ/ბრინჯაოს განძები და ცალკეული არტეფაქტები, როგორც სამაროვნებში, ასევე შემთხვევითი მონაპოვარის სახით (საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული, მცირე პლასტიკის ნიმუშები) (ლორთქიფანიძე 2001: 127და შემდეგი). უშუალოდ სპილენძის მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტებიც დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა სპილენძ/ბრინჯაოს ზოდების სახით, რომლებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს განძებიდან არის ცნობილი (სულავა, ოქრუაშვილი, გილმორი, 2022: 88-95), და ყალიბები (†სახაროვა, სულავა, 2012: 88-104). თვით არქეომეტალურგიული ძეგლები კი, სადაც სპილენძის დნობა-ჩამოსხმა ხდებოდა, არ ჩანდა (შდრ. ხახუტაიშვილი ნ. და სხვ. 2024).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთში არქეომეტალურგიის ძეგლების - ქურა-სახელოსნოების აღმოჩენა, რომლებიც მთელი კოლხეთის არეალზე იყო განფენილი XX საუკუნის 60-70-იან წლებიდან დაიწყო; ისინი მიჩნეული იყო რკინის მეტალურგიის ძეგლებად. შესაბამისად, წყაროებში, ლიტერატურულ ცნობებსა და მითებში მოძიებული იყო რკინასთან დაკავშირებული ცნობები (ხახუტაიშვილი, 1978); (Хахутаишвили, 1987); (Khakhutaishvili, 2009); (ინანიშვილი და სხვ., 2010); (ინანიშვილი, 2014); (სულავა და სხვ., 2020).

მეთოდი

სტატია ემყარება არქეოლოგიური არტეფაქტებისა და წერილობითი წყაროების მონაცემების ურთიერთშეჯერების აპრობირებულ მეთოდს.

შედეგები

არქეოლოგიური კვლევებით მოპოვებული არტეფაქტების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ძველ კოლხეთში მეტალურგიაში სპილენძის წარმოებას დიდი ტრადიცია ქონდა და განსაკუთრებით გაბატონებული მდგომარეობა ეკავა პროტოკოლხური კულტურიდან მოყოლებული კოლხური ბრინჯაოს კულტურისა და ადრერკინის ხანის ჩათვლით (ძვ.წ. II-I ათასწლეულები). ამ სურათს ადასტურებს წერილობითი წყაროების (ძველაღმოსავლური და ანტიკური) მონაცემებიც (იხ. ქვემოთ).

მსჯელობა და დასკვნები

XXI საუკუნის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდა თანამედროვე საბუ-

ნებისმეტყველო კვლევებზე დაყრდნობით წინა საუკუნეში გამოვლენილი და შესწავლილი არქეომეტალურგიის ძეგლების მონაცემების გადამოწმება, რის შედეგადაც რკინის მეტალურგიის ძეგლებად მიჩნეული ქურა-სახელოსნოების დიდი უმრავლესობა სპილენძის მეტალურგიას მიეკუთვნა(Erb-Satullo Nathaniel L. 2014: 147-159).

აგრეთვე, აღსანიშნავია ისიც, რომ მთიან კოლხეთში, კერძოდ, ლეჩხუმში[1], რომელიც არქეომეტალურგიის თვალსაზრისით შეუსწავლელი იყო, აღმოჩნდა ძვ.წ. XIII – VIII საუკუნეების სპილენძის მეტალურგიის ძეგლები, რომელთა კვლევით ახალი მონაცემები გამოვლინდა; დადგინდა დარგის კომლექსურობა - სამთამადნო წარმოება (მადნის ადგილობრივი მოპოვება), მეტალურგია (დნობა და ზოდების ჩამოსხმა) და ლითონდამუშავება (არტეფაქტების დამზადება) (Sulawa, 2001: 186-187); (Sulawa, 2001a: 375); (სულავა, 2003: 31-37); (Sulava, 2008: 299-305); (სულავა და სხვ., 2020); (ჩაგელიშვილი და სხვ., 2023).

კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის წარმოების ძეგლების დადასტურებით კიდევ უფრო გამყარდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ისეთი საკითხები, როგორიცაა - წარმოშობის ცენტრი, არეალი, ქრონოლოგია, სახელმწიფოებრივი წარმოშობის საფუძველი.

არქეოლოგიურ მონაპოვარს ეხმიანება წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები. საზოგადოდ ცნობილია, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორაზე, კერძოდ, ძველ კოლხეთში მეტალურგიის განვითარების, სახელდობრ, ბრინჯაოს, რკინის, თითბრის, ოქროს, ვერცხლის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველაღმოსავლური, ანტიკური, ბიზანტიური, ძველსომხური და ა. შ. დოკუმენტური, ნარატული თუ ლიტერატურული ძეგლები.

ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ ძველაღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში დაცულ ცნობებს სპილენძის/ ბინჯაოს წარმოების შესახებ ძველ კოლხეთში.

ხეთის მეფის თუთხალია III-ის (ძვ. წ. 1360-1344) ომების ამსახველ წყაროებში, სადაც ლაპარაკია ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის, ისუვას წინააღმდეგ ლაშქრობაზე, ნადავლის შესახებ ნათქვამია, რომ დამარცხებული ქვეყნიდან მეფემ, სხვა ქონებასთან ერთად, ბრინჯაოს ნივთებიც წაიღო (ღამბაშიძე, 2003: 103-104).

ეგვიპტის ფარაონის რამზეს II (ძვ. წ. 1279-1213) ხანის რამდენიმე ჩანაწერში ერთგან დასტურდება „მთა ასია“, მეორეგან „მთა ალასია“, საიდანაც

1 მთიან კოლხეთში არქეომეტალურგიული ძეგლების შესწავლას ეძღვნება სამი პროექტი, რომელთა კონცეფციასაც წარმოადგენს - არქეომეტალურგია, გეოლოგია, წყაროები: 1. მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები (#FR 217128 - ხელმძღვ. ნ. სულავა), 2. სპილენძის არქეომეტალურგიის შესწავლა მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი): მადნებიდან ლითონამდე (#FR 19-13022 - ხელმძღვ. რ. ჩაგელიშვილი), 3. ძველი კოლხეთი - სპილენძის მეტალურგია (წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები) (FR-21-3697 - ხელმძღვ. ნ. სულავა).

ვერცხლი და სპილენძი გაჰქონდათ ეგვიპტეში. მკვლევარები ფიქრობენ, რომ აქ საუბარი ეხება დასავლეთ ანატოლიაში მდებარე ხეთური წყაროების ისუვას (Mantzourani, Kopanias and Voskos, 2019: 103-104). ისუვა კი კოლხური ტომების გავრცელების არეალის სიახლოვეს, აწინდელი მდ. მურად-სუს სანახებში მდებარეობდა, სადაც ხურიტულთან ერთად ქართველური მოსახლეობაც ივარაუდება (იხ.: ჩარექიშვილი, 2021: 210-230).

ასურეთის მეფის აშურნასირპალ II (ძვ. წ. 884/3-859) „ანალებში'' აღნიშნული მეფის სახელით ნათქვამია: *„მივიღე ხარკი ქათმუხისა და მუშქების ქვეყნებისაგან - ბრინჯაოს ჭურჭელი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ღვინო"* (საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2016: 13). აქ იგულისხმება ე. წ. აღმოსავლელი მუშქები, ქართველური ეთნიკური სამყაროს ერთ-ერთი უძველესი ტომის მესხების ის ნაწილი, რომელიც ძვ. წ. XII საუკუნეში სამხრეთ კავკასიიდან მცირე აზიის მიმართულებით გადაადგილდნენ და მდ. ტიგროსის ზემო დინების რაიონში დამკვიდრდნენ (Меликишвили, 1959: 84-105); (ხაზარაძე, 1984: 91-95); (ხახუტაიშვილი, 2009: 8-10).

ურარტუს მეფე არგიშთი I-ის (786-764) მატიანე, რომელიც ვანის კლდეზეა ამოკვეთილი, მოგვითხრობს ამ მეფის ლაშქრობის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ქართული პოლიტიკური გაერთიანების, დიაუხისა და მისი მეზობელი რეგიონების: ზაბახას (ჯავახეთი), ვიტერუხის (ოძრხე), ქათარზას (კლარჯეთი), ლოსას (ლაზები) წინააღმდეგ (მელიქიშვილი, 1970: 244-250); (მუსხელიშვილი, 2004: 3 და შემდ.). გამარჯვებული არგიშთი იუწყება: *„დიაოხის მეფე დავიმორჩილე, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით, აი, რანაირი ხარკი მისცა დიაოხიელმა არგიშთის: 41 მინა სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი, [....] ათი ათასი მინა **სპილენძი**, 1000 საჯდომი ცხენი...* აი, როგორი ხარკი დავადე მე დიაოხის ქვეყანას, რათა მას (ეს ხარკი) ეძლია ყოველწლიურად: (ამდენი) მინა სუფთა ოქრო, 10000 მინა ***სპილენძი*** (ამდენი) ხარი, 100 ძროხა" (Меликишвили, 1960: 128, B1); (მელიქიშვილი, 1970: 255); (საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2016: 25).

სპილენძის მოხსენიების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძველბერძნულ თქმულებას არგონავტების შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედო რეალური ისტორიული ფაქტი - ბერძენთა ლაშქრობა შავი ზღვის სანაპიროებზე, რასაც, მკვლევართა აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. XIII საუკუნეში (მიქელაძე, 1974: 169 და შემდ.); (ლორთქიფანიძე, 1966: 27 და ემდ.).

ყველაზე სრული თხრობა არგონავტების ლაშქრობისა და კოლხეთთან ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილია ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი ავტორის აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა''. ამ უკანასკნელმა, როგორც თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, ამ მითისათვის ერთგვარი დაკანონებული, ოფიციალური ვერსია შექმნა (ყაუხჩიშვილი, 1976: 17). შემდგომი ხანის ბერძენი და რომაელი ავტორებისთვის, რომლებიც აღნიშნულ თქმულებას ეხებიან, ამოსავალი საფუძველი სწორედ აპოლონიოს როდოსელის პოემაა. ესენია: აპოლოდორე (ძვ. წ. II ს.), დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს.), სტრაბონი, პავსანია (ახ. წ. მე-2 ს.), ევსევი კესარიელი (260-340 წწ.), სქოლიასტი იონე ცეცე (XII ს.) (დაწვრილებით იხ. ურუშაძე, 1964: 200- 491).

კოლხურ ტომებში მეტალურგიის, მათ შორის, სპილენძის მოპოვებისა და წარმოების შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც აპოლონიოს როდოსელის წინამორბედ, ძვ. წ.VIII-IV სს. ბერძენ ავტორებთან (იხ. ქვემოთ), ისე აპოლონიოს როდოსელის პოემაში და მისი შემდგომი ხანის ავტორებთან.

ქვემოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოვიტანთ იმ ავტორთა ცნობებს, რომელთა ნააზრევში ამა თუ იმ ფორმით ასახვა ჰპოვა არგონავტების შესახებ თქმულებამ, კერძოდ, მასში სპილენძის მოხსენიებამ.

პინდარე (522/518 - 442/433 წწ.) პოეტურ ნაწარმოებში - „მეოთხე პითიური ოდა'' მოვითხრობს, რომ იასონის მეთაურობით არგონავტები მიადგნენ ფასისს და მეფე აიეტს ოქროს საწმისი მოსთხოვეს და განაგრძობს:

„და აი, აიეტმა [ველის] შუაგულში გამოიყვანა ფოლადის ხარები, რომლებიც ყვითელი ნესტოებიდან გავარვარებული ცეცხლის ალს აფრქვევდნენ, სპილენძის ჩლიქებით კი რიგრიგობით მიწას გლეჯდნენ''. აიეტმა ისინი უღელში შეაბა და ველის ხვნას შეუდგა (ურუშაძე, 1964: 214).

იმავეს იმეორებს პინდარეს გვიანდელი სქოლიასტიც (ურუშაძე, 1964: 22).

დურისის (340-275 წწ.) შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, პრომეთე კავკასიის მთებში „სპილენძის ბორკილებით მიჯაჭვული" ყოფილა (ურუშაძე, 1964: 243).

ფერეკიდე ლეროსელის (ძვ. წ. V ს.) შემონახული ფრაგმენტები გვაუწყებენ:

[აიეტის მიმართვა არგონავტებისადმი]: „ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, სახით ალის მფქრეველნი, მათ გამოვრეკავ, დავუღლავ და არესის ველზე ოთხდღიურ პირქუშ ხოდაბუნს ვხნავ. ფერეკიდე მეექვსე წიგნში ორმოცდაათ დღიურს იტყვის'' (ურუშაძე, 1964: 253).

იმავე ავტორის სხვა ფრაგმენტის მიხედვით:

*„[ჰეფესტომ] გამოუჭედა [აიეტს] **სპილენძისფეხებიანი** ხარები; მათი ხახებიც **სპილენძისა** იყო, საიდანაც ცეცხლის საზარელ ალს აფრქვევდნენ: ხარები რომ **სპილენძისფეხებიანი** და ცეცხლისმფრქვეველი იყო, ამას ფერეკიდეც ამბობს'* (ურუშაძე, 1964: 262).

საინტერესო ცნობებია დაცული აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში'':

*„კავკასიის მაღალ მთებში „**სპილენძის** ბორკილებით პირქუშ კლდეებზე მიჯაჭვული პრომეთე თავისი ღვიძლით კვებავდა არწივს, რომელიც განუწყვეტლივ მიისწრაფოდა ხოლმე მისკენ''* (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 108).

აიეტის „სასახლის თავზე, ***სპილენძის ქონგურებზე***, ქვის კოშკი იდგა'' (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 116).

*„ჰეფესტომ აიეტს გამოუჭედა **სპილენძისფეხებიანი** ხარები, რომელთაც **სპილენძისავე** რქები ჰქონდათ, საიდანაც ცეცხლის საზარელი ალი ამოსდიოდათ. მანვე გაუკეთა მთლიანი გუთანი მაგარი ფოლადისაგან''* (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 116-117).

აიეტის ერთ-ერთი მონა სასახლის ეზოში *„**სპილენძის ცულით** გამხმარ შეშას აპობდა''* (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 118).

აიეტი მიმართავს იაზონს:

*„არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი **სპილენძის-ჩლიქებიანი** ხარი... მათ მე გუთანში ვაბამ და არესის ველზე ოთხ დღიურ პირქუშ მიწას ვხნავ''* (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 122). ამ დროს აიეტი გველეშაპის კბილებს თესავს, საიდანაც ***სპილენძის*** იარაღით აღჭურვილი დევგმირები აღმოცენდებიან'' (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 124-125). *მედეას დახმრებით იაზონმა აიეტის პირობა იოლად შეასრულა - სპილენძისჩლიქებიანი ხარებით არესის ველი უვნებლად მოხნა* (აპოლიონიოს როდოსელი, 1948: 129).

მიუხედავად იმისა, რომ ხალიბების სახელი უმეტესწილად რკინა/ფოლადის წარმოებასთანაა დაკავშირებული, მნიშვნელოვანია ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ავტორის ***ჰეროდოტეს*** ცნობა ხალიბების შესახებ:

*„ხალიბებს პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თითოეულს ორი შუბი ეპყრა ლიკიური ხელობისა, ხოლო თავზე ეხურათ **სპილენძის** მუზარადები. მუზარადებზე იყო **სპილენძისაგან** ნაკეთები ხარის ყურები და რქები, აქვე იყო ბიბილოც. მუხლები ძოწეულის ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული''* (ჰეროდოტე, 1976: 435).

არისტოტელე (384-322 წწ.) თხზულებაში „სასწაულებრივ ხმათათვის'' გადმოგვცემს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს კიდევ ერთი კოლხური ტომის, მოსინიკების მიერ სპილენძის დამუშავების შესახებ:

*„ამბობენ: ყველაზე უფრო მბრწყინავი და ქათქათა მოსინიკური **სპილენძიაო**. მას უზავებენ არა კალას, არამედ იქ არსებულ რაღაც მიწას, რომელიც [სპილენძთან] ერთად გამოიდნობა. ამბობენ [ამ] ნარევის აღმომჩენმა არავის ასწავლა [საიდუმლოებაო]. ამის გამო გამოირჩევა იმ ადგილებში წარმოქმნილი **სპილენძის** ნაკეთობა, შემდეგ ხანებში დამზადებული კი უკვე აღარ [გამოირჩევა]''* (ურუშაძე, 1964: 293, 293) (ყაუხჩიშვილი, 1969: 46).

საინტერესოა, რომ ***თეოპომპე ქიოსელი*** (ძვ. წ. IV ს.), რომელიც თავის თხზულებაში „ღვთისმოშიშობისათვის'' განმარტავს რა კოლხური კკრბების რაობას, იქვე გვაუწყებს:

„კკრბები ***სპილენძისა*** იყო და არა რამე ხისაგანი, ისინი გამოიგონეს კორიბანტებმა, საიდანაც კკრბები შეერქვათ'' (ურუშაძე, 1964: 297).

ცნობები კოლხური კკრბების შესახებ დაცულია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში'', სადაც ვკითხულობთ:

კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთი მამათგან ნაწერი კკრბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი'' (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 279-281).

ძველი ბერძენი ავტორების ცნობების შეჯერების საფუძველზე ა. ურუშაძე ცხადჰყოფს, რომ კკრბები ქვის, თიხის ან ხის ძველისძველი ფირფიტებია, სადაც თავდაპირველად ქალღვთაება კიბელეს ტაძრის ქურუმების - კორიბანტების მიერ შედგენილი საკრალური ტექსტები იყო ამოკვეთილი, შემდგომში „კკრბისი“ ეწოდა ყველა საბუთსა და კანონს, რომლებიც ფირფიტებზე იწერებოდა, უფრო მოგვიანებით კკრბები ეწოდა კარტოგრაფიულ ცნობარს. კკრბები ფორმით იყო სვეტი და აღიმართებოდა საზოგადოებრივ (საჯარო) სივრცეში (ვრცლად იხ.: ურუშაძე, 1964: 152-168).

ჩვენი აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეოპომპე ქიოსელის ცნობა სწორია და კვრბები სპილენძისაც იყო. ის, განსხვავებით აპოლონიოს როდოსელისაგან, აზუსტებს თუ რა მასალისგან იყო შექმნილი კოლხური კვრბები.

აპოლოდორე (ძვ. წ. II ს.) თავის ,,ბიბლიოთეკაში'' ვრცელ ადგილს უთმობს არგონავტების თავგადასავალს. ერთგან წერს:

„არგონავტებმა ჩაუარეს თერმოდონტს, კავკასიონს და მდინარე ფაზისთან მივიდნენ. ეს კოლხეთის ქვეყნის მდინარეა. როცა ხომალდი ნაპირს მიადგა, იასონი აიეტს ეწვია... და სთხოვა მისთვის საწმისი მიეცა. ისიც შეჰპირდა მიცემას, თუ უღელში შეაბამდა სპილენძისფეხებიან ხარებს: აიეტს ჰეფესტოს ნაჩუქარი, სიდიდით გამორჩეული ორი ველური ხარი ჰყავდა; ფეხები მათ ***სპილენძისა*** *ჰქონდათ“* (ურუშაძე, 1964: 359-360).

წერილობითი წყაროები ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელია, ვიდრე ის ეპოქა, რომელსაც წყაროები აღწერენ, და როდესაც კოლხეთში ლითონის წარმოება ძირითადად სპილენძით იყო წარმოდგენილი; ანუ წყაროებში აღწერილი ვითარება ემთხვევა კოლხეთის არქეოლოგიურ მონაცემებს. გვიანდელი წერილობითი წყაროები, ადასტურებენ, რომ სპილენძ/ბრინჯაოსა და რკინის ბატონობის ეპოქებშიც კოლხეთში სპილენძის წარმოება მეტალურგიაში სოლიდურ ადგილს იკავებდა, რაც კოლხეთში სპილენძის დამუშავების ხანგრძლივი ტრადიციის მაჩვენებელია. სწორედ ეს ტრადიციაა - ლითონწარმოებაში სპილენძის ბატონობის ეპოქისა, ის, რაც აისახა წერილობით წყაროებში, სწორედ ამ რაკურსით ვპოულობთ აღნიშნულ წყაროებში იმის დადასტურებას, რასაც არქეოლოგიური ძიება მატერიალურად იძლევა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Chagelishvili, R. Sulava, N. Rezesidze, N. Beridze, T. Gilmour, Br. Tatuashvili, N. (2023). The Archaeometallurgy of Coper in the Mountain Regions of Colkhis (Lech-khumi-Kvemo Svaneti), Georgia: From Ore to Metal. https://museum.ge/uploads/.

chagelishvili, r. sulava, n. rezesidze, n. beridze, t. gilmour, br. tatuashvili, n. (2023). *spilenzis arkeometalurgia mtian kolkhetshi (lechkhumi-svaneti): madnidan litonamde.* https://museum.ge/uploads/. (ჩაგელიშვილი, რ. სულავა, ნ. რეზესიძე, ნ. ბერიძე, თ. გილმორი, ბრ. ტატუაშვილი, ნ. (2023). *სპილენძის არქეომეტალურგია მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი): მადნიდან ლითონამდე.* https://museum.ge/uploads/.)

charekishvili, n. (2021). imperiis periodis kheti mepeebi da isuva. *istoria, arkeologia, etnologia*. № 5. (ჩარექიშვილი, ნ. (2021).იმპერიის პერიოდის ხეთი მეფეები და ისუვა. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია.* № 5.)

ghambashidze, m. (2003). *kheturi analistika (samepo dghiurebi*). tbilisi. (ღამბაშიძე, მ. (2003). *ხეთური ანალისტიკა (სამეფო დღიურები).* თბილისი.)

inanishvili, g. maisuradze, b. gobejishvili, g. (2010). sakartvelos udzvelesi samtamadno da metalurgiuli tsarmoeba (dzv. ts. III-I atastsleulebi). tbilisi. (ინანიშვილი, გ. მაისურაძე, ბ. გობეჯიშვილი, გ. (2010). საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულები). თბილისი.)

inanishvili, g. (2014). *kartuli metalurgiis sataveebtan* (dzv. ts. IV-I atastsleulebi). tbilisi. (ინანიშვილი, გ. (2014). *ქართული მეტალურგიის სათავეებთან* (ძვ. წ. IV-I ათასწლე-ულები). თბილისი.)

khakhutaishvili, d. (1978). masalebi dzvelkolxuri rkinis metalurgiis istoriisatvis. samchret- dasavlet saqartvelos dzeglebi. t. VII. tbilisi. (ხახუტაიშვილი, დ. (1978). მასალები ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ტ. VII. თბილისი.)

khakhutaishvili, n. papuashvili, r. tschatarashvili, g. kachidze, e. inanishvili, g. poporadze, n. erb-satulo, n. gilmori, br. (2024). kolkheti – rkinis metalurgiis udzvelesi tsentri (istoriul-interdistsiplinuri kvleva). Batumi.(ხახუტაიშვილი, ნ. პაპუაშვილი, რ. ჩხატარაშვილი, გ. კახიძე, ე. ინანიშვილი, გ. ფოფორაძე, ნ. ერბ-სატულლო, ნ. გილმორი, ბრ. (2024). კოლხეთი - რკინის მეტალურგიის უძველესი ცენტრი (ისტორიულ-ინტერდისციპლინური კვლევა). ბათუმი.)

Khakhutaishvili, D.A. (1987). Proizvodstvo zheleza v drevnei Kolkhide. Tbilisi. (Хахутаишвили, Д.А. (1987). Производство железа в древней Колхиде. Тбилиси.)

Khakhutaishvili, D. (2009). *The Manufacture of Iron in Ancient Colkhis*. Oxford.

khakhutaishvili, n. (2009). mosxebis/mesxebis istoriisatvis. *samkhret-dasavlet sakartvelos istoriis sakitxebi.* IV. batumi. (ხახუტაიშვილი, ნ. (2009). მოსხების/ მესხების ისტორიისათვის. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები.* IV. ბათუმი.)

khazaradze, n. sakartvelos dzveli istoriis etno-politikuri problemebi (mosxebi). tbilisi. (ხაზარაძე, ნ. (1984). საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები). თბილისი.)

lortdkipanidze, o. (1966). argonavtika da zveli kolkheti. tbilisi.(ლორთქიფანიძე, ო. (1966). არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი.).

lortdkipanidze, o. (2001). *dzveli kartuli tsivilizatsiis sataveebtan.* tbilisi. (ლორთქიფანიძე, ო. (2001). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.)

lomouri, n. (1963). berzeni logograposebis tsnobebi kartveli tomebis shesakheb. *masalebi sakartvelosa da kavkasiis istoriisatvis*. nakv. 35. tbilisi. (ლომოური, ნ. (1963). ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.* ნაკვ. 35. თბილისი.).

urushadze, a. (1964). *zveli kolkheti argonavtebis tkmulebashi*. tbilisi. (ურუშაძე, ა. (1964). *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში*. თბილსი.).

Mantzourani, Eleni. Kopanias Konstantinos and Voskos Ioannis. (2019). A Great King of Alašiya? The archaeological and textual evidence. F*ROM 'LUGAL.GAL' TO 'WANAX' KINGSHIP AND POLITICAL ORGANISATION N THE LATE BRONZE AGE AEGEAN*. Published by Sidestone Press. Leiden.

Melikishvili, G. (1959). K istorii drevnei Gruzii. Tbilisi. (Меликишвили, Г. (1959). К истории древней Грузии. Тбилиси.)

Melikishvili, G. (1960). Urartskie klinoobraznie nadpisi. Moskva. (Меликишвили,

Г. (1960). Урартские клинообразные надписи. Москва.).

melikishvili, g. (1970). samkhret-dasavlet sakartvelos mosakhleobis uzvelesi gaertianebebi. *sakartvelos istoriis narkvevebi.* t.I. tbilisi. (მელიქიშვილი, გ. (1970). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის *უძველესი* გაერთიანებები. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბილისი.).

mikeladze, t. (1974). *zveli kolkhetisa da samxret-aghmosavlet shavizghvi-spiretis uzvelesi istoriidan (zv. ts. II-I atastsleulebi). tbilisi. (მიქელაძე, თ.* (1974). *ძველი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები).* თბილისი.).

muskhelishvili, d. (2004). "daiaeni-diaukhis" qveqnis mosakhleobis etnikuri vi-naobisatvis. analebi(sakartvelos mecnierebata akademiis iv.javakhishvilis sakh. istoriisa da etnologiis institutis zhurnali). № 1.tbilisi. (მუსხელიშვილი, დ. (2004)."დაიაენი-დიაუხის" ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისათვის. ანალები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი). № 1. თბილისი.).

sakartvelos zveli istoriis krestomatia. (2016). sheadgina n. khazaradzem. tbilisi. (საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია. (2016). შეადგინა ნ. ხაზარაძემ. თბილისი.)

qaukhchishvili, t. (1969). *berzeni mtserlebis tsnobebi sakartvelos shesaxeb.* t. II. tbilisi. (ყაუხჩიშვილი, თ. (1969). *ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.* ტ. II. თბილისი.).

qaukhchishvili, t. (1976). *berzeni mtserlebis tsnobebi sakartvelos shesaxeb*. t. III. tbilisi. (ყაუხჩიშვილი, თ. (1976). ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. თბილისი.).

†sakharova, l. sulava, n. (2012). sakartveloshi aghmochenili brinjaos nivtebis cham-osaskhmeli qalibebis istoriisatvis. Online Archeology. № 3. (†სახაროვა, ლ. სულავა, ნ. (2012). საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბების ისტორიისათვის. *Online Archeology*. № 3.)

sulava, n. gilmour, br. rezesidze, n. chagelishvili, r. beridze, t. (2020). *metalur-giis tsarmoshoba da ganvitareba dzvel kolkhetshi (lechkhumi).* tbilisi. (სულავა, ნ. გილმორი, ბრ. რეზესიძე, ნ. ჩაგელიშვილი, რ. ბერიძე, თ. (2020). მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი). თბილისი.)

https://issuu.com/gnmuseum/docs/the_origin_and_development_of_prehistoric_copper_m

sulava, n. okruashvili, n. gilmori, br. (2022). kolchuri brinjaos kulturis metalur-gia: brinjaos zodebis tipologia (martvilis mkharetmtsodneobis muzeumisa da tsage-ris istoriuli muzeumis masalebis mikhedvit). matsne. istoriis, arkeologiis, etnologiisa da khelovnebis istoriis seria. №1. tbilisi. (სულავა, ნ. ოქრუაშვილი, ნ. გილმორი, ბრ. (2022). კოლხური ბრინჯაოს კულტურის მეტალურგია: ბრინჯაოს ზოდების ტიპოლოგია (მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ცაგერის ისტორიული მუზეუმის მასალების მიხედვით). მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1. თბილისი.)

sulava, n. (2023). letschumshi agmochenili mcire zomis yalibis sesaxeb. dziebani. # 10. tbilisi. (სულავა, ნ. (2003). ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. ძიებანი. № 10. თბილისი.)

Sulava, N. 2008. On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM). Ankara.)

Sulava, N. (2022). Malaya livarna forma kolchidskoi bronzovoi kulturi z Letschumi (Gruziya). Mishnarodnii taukovii konferencii ,,Ukraina-Gruziya: dialog kultur ta civilizacii''. 25-26 travnya 2022 r. Kiev. (Сулава, Н. (2022). Мала ливарна форма колхідської бронзової культури з Лечхумі (Грузія). Міжнародній науковій конференції «Україна-Грузія: діалог культур та цивілізацій„. 25-26 травня 2022 р. Київ.)

Sulawa, N. (2001). Letschumi – eine bedeutendste frühe Metallurgie-Region in der Kolchis. *GEORGIEN, Schätze aus dem Land des goldenen Vlies.* Bochum.)

Sulawa, N. (2001a). Gussform. *GEORGIEN, „Schätze aus dem Land des goldenen Vlies.*“ Bochum.)